ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„



განთიადი

88-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

2019 წელი 29 მარტი № 3 № 8144



შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში
გვ2.

ახალი საგამოფენო სივრცე ოკუპაციის მუზეუმში
გვ3.



გიორგი მაზნიაშვილი – დაუმარცხებელი გენერალი
გვ2.

გვ9.
უპირველესი საზრუნავი



უფასო სამედიცინო აქცია
გვ2.

45 წლის განმავლობაში
გვ3.



ჩაფიძის გულის ცენტრი კასპში



დიდგორი — 4
გვ6.



სარეაბილიტაციო სამუშაოები
გვ3.

“სათაყვანო შენისთანას ყველას სალოცავის მამულისა...”
გვ6.

გვ2.
ქვემო გომში შიდა სახელმწიფო გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო

ძირითადი კავშირი ცხოვრებასა და მუსიკას შორის
გვ5.





„ნუთუ ისე გადაიგებს ყალო-ზრიობს, რომ ქალი ამოიცნობ სამყაროდ დარჩებს?„
გვ4.



„ფიქრები სამყაროს მშვენიერ ნაწილზე„
გვ8-10.

“ვიდრე დედა გყავს”
გვ5.

„მომავალის„ ბავშვები „ზამბეზიაში„
გვ3.



მცირე ისტორია და დიდი პერსპექტივა
გვ8-10.

ჩვენც დავბერდებით ...
გვ4.

ჩემპიონები, რეკორდსმენები და კიდევ ...
გვ7.



ყენურა

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ვარ თუ არა დაცული წითელასაგან?
გვ8.

# შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში



კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების VIII - XII კლასის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მიზანი ახალგაზრდული პროექტების განხილვა და მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება იყო. ორი პროექტის ფარგლებში: დაგვანახე შენი სოფელი და 50 ამბავი კასპის მუნიციპალიტეტზე წარმოდგენილი და მოწონებული იდეების მიხედვით შემდგომში შეიქმნება მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ციკლი.

ფილმის პრეზენტაცია კასპის კულტურის ცენტრში გაიმართება. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ უ ლ ი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობასთან უშუალო კონტაქტს, გააქტიურებას, ტურიზმის განვითარებას.

## უფასო სამედიცინო აქცია
# ჩაფიძის გულის ცენტრი კასპში

23 მარტს კასპში შპს აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრმა (ჩაფიძის გულის ცენტრი) კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანადგომით მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო დახმარების აქცია ჩაატარა.

დღის განმავლობაში 264 პაციენტს კარდიოლოგიის ცენტრის სამედიცინო პერსონალი თემურ პეტრიაშვილი, თამილა მიქაია, მაია სადუნიშვილი, ნინო და ნესტან ლაშხები, ბონდო მაკარაძე, მარიამ როველაძე, თამარ ბოლოთაშვილი, ნათია ხინჩაგაშვილი, სოფო ბრეგვაძე, ნათია ოქრიაშვილი და ხათუნა ცერცვაძე მოემსახურა. პაციენტებმა ექიმ - კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, შესაბამისი ლაბორატორიული გამოკვლევები/ანალიზები ჩაიტარეს.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა სამედიცინო პერსონალის უფასო და ხარისხიანი მომსახურებით კმაყოფილებას გამოხატავდა, რადგან ასეთი მაღალი სტანდარტების მომსახურება ბევრი პაციენტისათვის ფინანსურად მიუწვდომელია.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის შპს აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს და ღონისძიების ინიციატორს ჩვენს თანაქალაქელს, ჩაფიძის გულის ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსს, სამედიცინო სამართლის ასოციაციის პრეზიდენტს, აქციის ორგანიზატორს ზურაბ ნიპარიშვილს.



# გიორგი მაზნიაშვილი – დაუმარცხებელი გენერალი



19 მარტს ქალაქ ბათუმში, მაზნიაშვილისა და თამარ მეფის ქუჩებზე ღია ცის ქვეშ გაიმართა ბათუმისათვის ბრძოლის 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მაზნიაშვილი - დაუმარცხებელი გენერალი''.



გ ა მ ო ი ფ ი ნ ა მაზნიაშვილთან, მის თანამებრძოლებთან დაკავშირებული სამუზეუმო ექსპონატები და ფოტომასალა ბათუმის, ქუთაისის და კასპის მუზეუმებიდან.

კ ა ს პ ი დ ა ნ ექსპონატები და ფოტომასალა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დელეგაციამ ჩაიტანა, რომელიც ღონისძიებაზე ს.ს.ი.პ.-,,აჭარის მუზეუმი''-ს მიწვევით იმყოფებოდა.

ღია ცისქვეშ გამოფენილი სამუზეუმო ექსპონატები დამსწრეთ გააცნეს აჭარის მუზეუმის დირექტორმა თამარ ორაგველიძემ, ქუთაისისა და კასპის მუზეუმების წარმომადგენლებმა.



გენერალ მაზნიაშვილთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები მიმოიხილა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მმართველმა ოთარ გოგოლიშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინგა შამილიშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზაალ მიქელაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მერაბ კარანაძე, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე, რეგიონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

გვარდიელთა მემორიალთან გადაიხადეს მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა მუსიკალურად გააფორმა ბათუმის კულტურის ცენტრის სასულე ორკესტრმა.

დაიგეგმა მემორანდუმის ხელმოწერა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებასა და აჭარის მუზეუმს შორის. მემორანდუმს ხელი მოეწერება მიმდინარე წლის მაისში, გენერლის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე.

# ქვემო გომში შიდა სახელმწიფო გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო

მეტეხი - ქვემო გომი - ნათლისმცემლის ეკლესიის შიდა სახელმწიფოებრივი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს ''იბოლიამ'' და შპს ''შარამ'' გაიმარჯვეს. სამუშაოებიც უკვე დაიწყეს.

პროექტი ითვალისწინებს 5,5 კილომეტრი გზის მონაკვეთზე რკინაბეტონის სანიაღვრე მონოლითური ღარების, ეზოებში შესასვლელების, მილ-ხიდების, სიჩქარის შემანელებელი ბორცვების მოწყობას, გზის მოასფალტებას, დახაზვას, საგზაო ნიშნების დაყენებას და მგზავრთა არსებული პავილიონების (მოსაცდელი) კეთილმოწყობას.

5,5 კილომეტრი გზის მონაკვეთზე ამჟამად რკინა-ბეტონის სანიაღვრე მონოლითური ღარების მოწყობა მიმდინარეობს.

აღნიშნული სამუშაოებისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2 962 869 ლარი დაიხარჯება.

სოფელ ქვემო გომის გზა იმდენად იყო დაზიანებული, რომ ადამიანებსა და ტრანსპორტს გადაადგილების მუდმივ დისკომფორტს უქმნიდა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ კეთილმოწყობილი გზა აღნიშნულ პრობლემას სრულად აღმოფხვრის.



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!

25 თებერვალი ... უმძიმესი დღე საქართველოს ისტორიაში

# ახალი საგამოფენო სივრცე ოკუპაციის მუზეუმში

როგორი მძიმე და მტკივნეულიც არ უნდა იყოს ისტორია ყოველ წელს გვახსენებს რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯრისა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა. მე-11 არმიას იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდეც უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედეგად იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა.

... 23 თებერვალს კოჯრისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალაქი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა.

25 თებერვალს ქ. კასპის მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში არსებულ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ამსახველ გამოფენა-მუზეუმში გაიხსნა რუსული ოკუპაციის მუდმივმოქმედი საგამოფენო სივრცე, რომელიც მოეწყო საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის ბ-ნი გიორგი მარგველაშვილის სარეზერვო ფონდის დაფინანსებითა და მხარდაჭერით, მეგობრობის ხიდი "ქართლოსის" პროექტის "ოკუპაციის მუზეუმები შიდა ქართლში" ფარგლებში.



პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ამსახველი გამოფენა - მუზეუმის შექმნის ინიციატორმა ვანო ჯახუამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ახალ სივრცეში წარმოდგენილია რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს საქართველოს მიმართ განხორციელებული ანექსიისა და ოკუპაციის ამსახველი უნიკალური საარქივო დოკუმენტები და მოვლენები: 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, 1921 წლის 25 თებერვალს მომხდარი საქართველოს ანექსია, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, 1991-1993 წლების საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა და 2008 წლის აგვისტოს ომი.





შეხვედრას უძღვებოდა მუზეუმის ხელმძღვანელი ნინო ნიპარიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ბრძოლებში დაღუპული გოჩა თათრიშვილის, გელა თიგიშვილისა და სოსო ბეჟუაშვილის დედები და მათი ოჯახის წევრები, მსოფლიო ათ საუკეთესო მასწავლებელს შორის შესული ლადო აფხაზავა, მეგობრობის ხიდი „ქართლოსის" მოხალისეები და თანამშრომლები.



## 45 წლის განმავლობაში



ქალთა საერთაშორისო დღესთან - 8 მარტთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მანანა ხვთისიაშვილმა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა სადღესასწაულო სასურსათო პაკეტი გადასცეს ელენა პაპაშვილს.

93 წლის ელენა პაპაშვილი 45 წლის განმავლობაში ქალაქში არსებულ ცემენტის ქარხნის ბაგა-ბაღში ბავშვების ჯანმრთელობას ემსახურებოდა.

## სარეაბილიტაციო სამუშაოები

სოფელ დოესში მიმდინარეობს ორსართულიანი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი ითვალისწინებს: საძინებლების, სათამაშო, გასახდელი, ექიმის, საშხაპე, სამრეცხაო, საკუჭნაო, პერსონალის ოთახების და დერეფნების მოწყობას. დამონტაჟდება მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, მოეწყობა ელექტროგაყვანილობა, შიდა და გარე საკანალიზაციო სისტემა, წყალგაყვანილობა, სანიტარული კვანძი შშმ პირებისათვის, მისასვლელი და საევაკუაციო კიბეები, შეიღებება შენობის ფასადი.

სოფლის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინდივიდუალური მეწარმე კახა დათაშვილი ასრულებს, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში უნდა დასრულდეს. სამუშაოების ღირებულება 333 278 ლარია.



## „მომავალის" ბავშვები „ზამბეზიაში"



კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ზეიმი მოუწყო.

კასპში მოქმედი სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი მომავალის ბავშვები, ქალაქის ბავშვთა გასართობ ცენტრ "ზამბეზიაში" მიიწვიეს.

ცენტრის ზღაპრის გმირებმა მათ უჩვეულო მუსიკალური და სპორტული გასართობი სანახაობა შესთავაზეს.

ღონისძიების დასასრულს მერიის სახელით ყველა ბავშვს საჩუქარი გადაეცა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

*შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.*

**გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?**
**გამოიწერეთ „ახალი განთიადი", გახდით ჩვენი მკითხველი!**

## გილოცავთ დღესასწაულს!

*„ნუთუ ისე გადაივლის კაცობრიობა,*

*რომ ქალი ამოუცნობ სამყაროდ დარჩება?„*

**ოთია იოსელიანი**

საქართველო ერთ-ერთია მსოფლიოში იმ ქვეყანათა შორის, რომელშიც დედის კულტია.

ლიტერატურულ წყაროებში ქართველი ქალი კარგი მეოჯახის, ამტანობის, მრავალშვილიანობის და მსგავსი კრიტერიუმებით ფასდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ძალიან მძ-



იმე ისტორია აქვს, ჩვენ ფაქტობრივად, მუდმივად ვიბრძოდით ფიზიკური გადარჩენისთვის და საკუთარი კულტურა და იდენტობაც ამ პროცესში ჩამოგვიყალიბდა.

ვაჟა-ფშაველაც ხომ ამბობს: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა" - ეს დამოკიდებულება ვაჟამდეც უთქმელად გასდევდა ქართველის დამოკიდებულებას. დედა არის სიტყვა, რომელიც ფუძედ უდევს ბევრ მნიშვნელოვან სიტყვას ქართულ ენაში: დედა-ენა, დედა-ქალაქი, დედა-ბოძი, დედამიწა, დედაკაცი, ადგილის დედა და ა.შ.

წელს გამორჩეულად აღინიშნა დედის და ქალთა საერთაშორისო დღე. კასპის მუნიციპალი-



ტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურმა დღესასწაული მიულოცა კასპის მოხუცებულთა სახლის ბინადრებს, სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულ ცენტრ „მომავლის" ბენეფიციარების დედებს, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ქალბატონ დირექტორებს.

მოხუცებულთა სახლის ბინადრებს და სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულ ცენტრ „მომავლის" ბენეფიციარების დედებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ტკბილეული.

## საქალაქო ბიბლიოთეკაში

კასპის მუნიციპალიტეტში შემავალი 30 საჯარო სკოლიდან 25 სკოლას ქალი - დირექტორი ხელმძღვანელობს. არც ეს ციფრი გახლავთ შემთხვევითი, რაც, ალბათ,



ზემოთქმულიდან მომდინარეობს.

7 მარტს კასპის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის (უფროსი თეა ხორბალაძე), კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) და კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი) მიერ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა - დღესასწაული - კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებთან.

საღამო მოამზადა ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა, მან შესავალ სიტყვაში მოკლედ მიმოიხილა საქართველოში განათლების ისტორია, ვიდრე ანტიკური პერიოდიდან დღემდე. ქალბატონმა ლიამ წარადგინა დირექტორები და გაუძღვა საღამოს. ემოციებით იყო დატვირთული თითოეული გამომსვლელის სამადლობელი სიტყვა. დოესის საჯარო სკოლა - იზოლდა ციცაგი; იგოეთის საჯარო სკოლა - ირმა უზნაძე; ლამისყანის საჯარო სკოლა - დარეჯან ჭიხინაშვილი; მეტეხის №1 საჯარო სკოლა -



მანანა გეჯაძე; სამთავისის საჯარო სკოლა - ლელა ჩერქეზიშვილი; სასირეთის საჯარო სკოლა - ნანა ბარნაბიშვილი; ქვემო ჭალის საჯარო სკოლა - მარეხ გულიკაშვილი; მიქელწყაროს საჯარო სკოლა - მაია ლაფერაშვილი; ქვემო გომის საჯარო სკოლა - თამარ მამულაშვილი; თვალადის საჯარო სკოლა - ნატალია ცალქალამანიძე; კასპის №2 საჯარო სკოლა - ოლია მახარაძე; კასპის №3 საჯარო სკოლა - მარინე ქონიაშვილი - ის ქალბატონები ბრძანდებიან ემოციის მართვაც სწორად რომ იციან, სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებით რომ ცხოვრობენ, სკოლის მენეჯმენტსაც პასუხისმგებლობის დიდი დოზით რომ უდგებიან და ქალურ მომხიბვლელობასაც რომ უთავსებენ აღმზრდელობით საქმიანობას.



სტუმრებს მიესალმნენ: კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი თამუნა მამულაშვილი; ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი; გაზეთ „ახალი განთიადი"-ს რედაქტორი ნანა მერებაშვილი; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი; ამავე გაერთიანების სპეციალისტი ხათუნა ხაჩიძე; სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი; კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი; შეხვედრის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, კასპის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. საღამო სავსე იყო დადებითი ემოციებით, ლამაზი სიმღერებით. შეხვედრის ტექნიკურ გამართულობას უზრუნველყოფდნენ - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი და სპეციალისტები: მამუკა პაპაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი.

## ჩვენც დავბერდებით ...

უკვე მეოთხე წელია, კასპის მოხუცებულთა სახლის /"ჩვენები", ხელმძღვანელი ხათუნა წიკლაური/ ბინადარია 90 წელს გადაცილებული მარგალიტა ბარნაბიშვილი. მართალია, მას საკუთარი შვილები არასოდეს ჰყოლია, მაგრამ მრავალი თაობის აღმზრდელი, რაიონში განთქმული პედაგოგით დღესაც თავს იწონებენ მისი კურსდამთავრებულები...

მარგალიტა ბარნაბიშვილმა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმუშავა სასირეთის საშუალო სკოლაში და მცოდნე, ყოველმხრივ განათლებულმა ისტორიის მასწავლებელმა ყველას დაამახსოვრა თავი.

ბარნაბიანთკარში, სადაც მარგალიტა ბარნაბიშვილი დაიბადა და აღიზარდა, კარგი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მისი ოჯახი, კიდევ უფრო პატივისცემით, მოკრძალებით ეპყრობოდნენ ისტორიის მასწავლებელს, მარტო ბავშვები, მოსწავლე-ახალგაზრდობა კი არა, მთელ სოფელს აიყოლიებდა ხოლმე და საზოგადოებრივ წამოწყებას ერთიანი ძალით ასრულებდა. ახლაც კარგად ახსოვთ იქაურებს, მარგალიტა ბარნაბიშვილი სოფელში კარდაკარ დადიოდა და რუდუნებით აგროვებდა იშვიათ, ძველისძველ საყოფაცხოვრებო ნივთებსა თუ თიხის ჭურჭელს, მერე კი, სკოლაში, ერთ პატარა ოთახში „მინიატურული მუზეუმი" მოაწყო, მოსწავლეებსა და სოფლის ახალგაზრდობას იქ უტარებდა ისტორიის გაკვეთილებს, ესაუბრებოდა ჩვენი ქვეყნის კულტურასა და წარსულზე... მოგვიანებით ამაგდარმა პედაგოგმა ეს ერთად შეკრებილი და საგულდაგულოდ შენახული საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა.

— უამრავ საინტერესო ამბავს, ცხოვრებისეულ თავგადასავლებს, კერძო შემთხვევებს ვისმენთ მისგან, — საუბრობენ მოხუცებულთა სახლის ექთნები ნინო ზაქარაშვილი და ხათუნა დათაშვილი, — აი, სწორედ ისეთს, რომელიც შესაძლოა, ყველას დასჭირდეს და გამოადგეს. სამწუხაროდ, ქალბატონ მარგალიტას სიარული კი არა, ფეხზე დადგომაც კი არ შეუძლია, მაგრამ მასთან გასაუბრებას მაინც ვახერხებთ, გვინდა, როგორმე შევუმსუბუქოთ გაუსაძლისი ყოფა.

ძალიან გაეხარდა, მადლიერებასა და აღტაცებას ვერ ფარავდა უხუცესი ქალბატონი, როდესაც მოხუცებულთა სახლის მომსახურე პერსონალისგან შეიტყო, რომ ქალთა დღესთან დაკავშირებით მათთან სტუმრად ქალაქის მერიის / კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის თეა ხორბალაძის ორგანიზებით/ წარმომადგენლები უნდა მისულიყვნენ...

ნამდვილად ემოციური შეხვედრა იყო, ვისაც შეეძლო საუბარი და აზრის გამოთქმა ყველამ გამოხატა მადლიერება და კმაყოფილება. მოხუცებს პატარებივით უხაროდათ სტუმრების მიერ მოძღვნილი საჩუქრები, ტკბილეული...

# ძირითადი კავშირი ცხოვრებასა და მუსიკას შორის



გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ია კარგარეთელის გარდაცვალებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, პრეზენტაციის წარმდგენი გახლდათ მუსიკოლოგი ეკა ყაზარაშვილი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი"...

ხელოვანისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თავი მოიყარეს ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, კულტურისა და განათლების მუშაკებმა, მოწვეულმა სტუმრებმა, კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ძალიან საინტერესო, ამომწურავი და ვრცელი ინფორმაცია – ია კარგარეთელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მუზეუმის თანამშრომელმა ლანა თათანაშვილმა.

ილია (ია) კარგარეთელი ერთაწმინდაში, სასულიერო პირის ოჯახში დაიბადა 1868 წელს. ია კარგარეთელის მამა და მისი უფროსი ძმა კოტე მუსიკის დიდი მოყვარულები ყოფილან და ამდენად, მუსიკის სიყვარული და ინტერესი მას ბავშვობიდან ჰქონდა, იგი ჯერ კიდევ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლისას თანატოლებს შორის /8 წლის ასაკში/ გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მუსიკისადმი მიდრეკილებით და ერთ ხანს იგი, სემინარიელებთან ერთად სიონის ეკლესიის გუნდშიც მღეროდა.

ია კარგარეთელის საინტერესო, ნაყოფიერ სტუდენტურ ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოსკოვის მუსიკალურ სასწავლებელში გატარებულ წლებს, მერე კი, 1897 წელს უკვე სამშობლოში დაბრუნებული ახალი ენერგიით შეუდგა სამუსიკო მოღვაწეობას, სწორედ ამ დროს შედგა მისი, როგორც საოპერო მომღერლის დებიუტი ოპერაში "დემონი"... და მაინც, ია კარგარეთელი ცნობილია, როგორც სიმღერა-გალობის საუკეთესო მასწავლებელი, 1910 წლიდან მოყოლებული 1918 წლამდე იგი მუსიკას ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც მოსწავლეებს, მომავალ თაობას უნერგავდა ქართული ხელოვნებისა და კულტურის სიყვარულს. ამავე დროს იგი დაუღალავად ილვწოდა ქართული მუსიკისა და ფოლკლორის პროპაგანდისათვის. ახალგაზრდობიდან მოყოლებული ია კარგარეთელი, სიცოცხლის ბოლომდე წერდა და აქვეყნებდა სტატიებს ხელოვნებაზე, მუსიკასა და ფოლკლორზე.

საყურადღებო და საგულისხმო გახლავთ ია კარგარეთელის შრომები: "ძირითადი კავშირი ცხოვრებასა და მუსიკას შორის", "ქართული მუსიკა", "ჩემი აღსარება", "თეატრი და ხელოვნება", აგრეთვე, წიგნები: "ქართული ხალხური მუსიკის მოკლე ნარკვევი", "მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია" და კიდევ სხვა საინტერესო მუსიკალური სახელმძღვანელო ლიტერატურა.

ია კარგარეთელს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორული მასალების შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეში. მან ბევრი ხალხური სიმღერა ჩაწერა ნოტებზე, ამოკრიბა და დაკარგვას გადაარჩინა ხალხში გაბნეული მუსიკალური მარგალიტები... თქვენ წარმოიდგინეთ, უხუცეს ერთაწმინდელებს გადმოცემით, დღესაც ახსოვთ, თუ როგორ უყვარდა ია კარგარეთელს თანასოფლელებთან მუსაიფი და ყოფნა, ჩაუჯდებოდა თურმე ერთაწმინდელებსა და გარიყულელებს, გოგოთელ თუ გოსტიბელ გლეხობას და მათგან იწერდა ძველ სიმღერებსა და თქმულებებს, ლეგენდებს. სწორედ ამის კლასიკური ნიმუში გახლავთ ვრცელი ლეგენდა "თავფარავნელი ჭაბუკი", რომელიც დრამატული ფორმით არის შეთხზული და რომელსაც მთელი სამი ზაფხულის განმავლობაში იწერდა იგი ერთაწმინდელი გაბო ეშმაკურაშვილისაგან. სხვათა შორის, ია კარგარეთელი სოფელში შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, ერთაწმინდელებს დღენიადაგ მხარში ედგა და მათზე ზრუნავდა, სწორედ ის გახლდათ სოფელში სკოლის გახსნის, სასმელი წყლის გამოყვანისა და გზების კეთილმოწყობის ერთი ინიციატორი. ამიტომაც არის, რომ ხალხზე მზრუნველი და მოსიყვარულე, საქვეყნოდ აღიარებული მოღვაწის ნაამაგარით თავს იწონებენ, მეტიც, ამაყობენ ერთაწმინდელები და არა მხოლოდ ისინი...

– მე, როგორც მუსიკის მცოდნე და კასპის რაიონის მკვიდრი, დავინტერესდი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ჩვენი კუთხის გამორჩეული, საინტერესო მოღვაწის ია /იაკობ/ კარგარეთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით, – მოგვითხრობს საეკლესიო მუსიკოლოგი, კასპის სალოტბარო სკოლის გალობის პედაგოგი ეკატერინე ყაზარაშვილი, – ვიმუშავე მუზეუმში დაცულ კარგარეთელის პირად არქივზე, რომელიც ინახავს მის მრავალფეროვან მუსიკალურ მასალას, სანოტო ხელნაწერებისა თუ სხვა ტიპის სარწმუნო დოკუმენტაციას. ესენია: საგაზეთო სტატიები, განცხადებები, ბრძანებები თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, ასევე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პედაგოგად მოწვევის შესახებ. აქ ინახება აგრეთვე, /ხელნაწერების სახით/ ხელოვანის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები,



ლექსები, მოთხრობები, გამოთქმები, მასალები მუსიკის თეორიისა ისტორიის კურსისათვის, ოპერის ლიბრეტო თქმულება "თავფარავნელი ჭაბუკის" მიხედვით, ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერების ნოტები.

ია კარგარეთელმა ქართულ ენაზე პირველმა თარგმნა ოპერების: "სევილიელი დალაქის", "დემონის", "პიკის ქალის", "ფაუსტის", "ტრავიატას", "რიგოლეტოს" და სხვა



მუსიკალური ნაწარმოებების ლიბრეტოები. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების დაარსებასა /1903 წელი/ და შემდგომ მის მუშაობაში, 1908 წელს ია კარგარეთელმა გამოსცა თავისი შეკრებილი ქართული პოეტური ფოლკლორის ნიმუშები, 1910 წლიდან იგი ასწავლიდა სიმღერასა და მუსიკას თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი, მუსიკის ისტორიასა და თეორიას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ქართული რომანსის ნიმუშები, სხვათა შორის, ია კარგარეთელის ნაწარმოებების საფუძველს წარმოადგენდა ქართული ქალაქური ფოლკლორი და მასვე ეკუთვნის მრავალი საგუნდო ნაწარმოებიც, გამოქვეყნებული აქვს ხალხური სიმღერების სამი კრებული.

როგორც უკვე ითქვა, უხუცესი ერთაწმინდელების გადმოცემით და მისი ვრცელი მემუარების თანახმად ია კარგარეთელი ყოფილა ზედმიწევნით გულღია და მოსიყვარულე, ამავე დროს, სიმართლის მოყვარული, თან ძალიან პრინციპული ადამიანი.

ია კარგარეთელი გარდაიცვალა 1939 წლის 31 მარტს, იგი დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში...

ქართველი მოღვაწის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა დაასრულეს კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც შეასრულეს ორი ქართლური სიმღერა "სხვათა მოჯამაგირობას" და "გოგიასა, გოგიასა" /პედაგოგი ზაზა მენაბდიშვილი/ და ერთიც ქალაქური სიმღერა "რა კარგი რამ ხარ" /პედაგოგი ეკა ყაზარაშვილი/. ღონისძიებას სტუმრობდნენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები.

**კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.**

# "ვიდრე დედა გვყავს"

**დედის დღესთან დაკავშირებით ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით "ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა", რომელშიც მონაწილეობდნენ ლამისყანის საჯარო სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები...**

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ფიქრია ხოკრიშვილმა, რომელმაც გულითადად მიულოცა ქალბატონებს, განსაკუთრებით კი, დედებს გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული და წარმატებები უსურვა.



დედის დღისადმი მიძღვნილი ლამაზი, დასამახსოვრებელი შეხვედრა საათნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა. მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები, შესრულდა სიმღერები, მერე კი, ბავშვებმა მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს დედაზე დაწერილი თემები, პატარ-პატარა ჩანახატები...

ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, რომელმაც ქალბატონებს, ყველა დედას მიულოცა დღესასწაული და ლამისყანელ მრავალშვილიან დედებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები, აგრეთვე, კონცერტის მონაწილე ბავშვებსა და მოწვეულ სტუმრებს ტკბილეულით უმასპინძლა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

# "საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა..."

სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის, ექვთიმე "ღვთისკაცის" დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით /1963 წლის 10 თებერვალს/ მადლიერმა ქართველმა ხალხმა მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოდან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენა... ხოლო, 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ეროვნული განძეულის მცველი წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე "ღვთისკაცი" უწოდა. ოფიციალურად, იუნესკოს ეგიდით 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოცხადდა, ჩვენს ქვეყანაში ყოველი წლის 3 იანვარს აღინიშნება ექვთიმე "ღვთისკაცის" ხსენების დღე.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან /დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი/ არსებულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა ღონისძიება – "გიხაროდენ, ერის სინდისო"!, რომელიც მიეძღვნა დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის /გარდაცვალებიდან 66-ე წელი/ ხსოვნას. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ მოსწავლეთა სახლის /დირექტორი ლელა პეტრიაშვილი/ მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, რომელსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი მოსწავლეებმაც და ერთობლივი ძალებით მომზადებული ლიტერატურულ-მუსიკალური წარმოდგენა ძალიან საინტერესო გამოვიდა...

თვალსაჩინოებითა და ლიტერატურით, ბროშურებით, წიგნებით, საინტერესო ფოტოებით დამშვენებულ პატარა დარბაზში შეიკრიბნენ მოსწავლეები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები... წმინდანის ფოტოებით მოფენილ ერთ კუთხეს ამშვენებდა ქართველი მწერლების მიერ ექვთიმე "ღვთისკაცისადმი" მიძღვნილი წიგნები, აქვე იყო ლამაზად შესრულებული წარწერა "გიხაროდენ, ერის სინდისო" – რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის მოამზადა ხატვის წრის ხელმძღვანელმა მაკა თათრიშვილმა.





სანახაობრივ წარმოდგენას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ქართულმა საგალობელმა "შენ ხარ ვენახი", რომლის ფონზე ისმოდა წმინდანისადმი მიძღვნილი ხოტბა-სადიდებელი... ქართველი პოეტების ლექსებსა და მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პატარ-პატარა ამონარიდებს კითხულობდნენ მოსწავლეები: ქეთი ჭალისური, მაია თაბუაშვილი, თამარ გოჭოშვილი, მიხეილ და სალომე სამხარაძეები, ლუკა და მარიამ მერებაშვილები, უჩა გოგოლაძე, მარიამ თიგიშვილი, თემურ ირემაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, ანა ბაისონაშვილი, ბექა რომაშვილი. ღონისძიებასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვეს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების წარმომადგენელმა იზაბელა კობიაშვილმა, პედაგოგმა მანანა ყაბანაშვილმა, საზოგადოებრივი აქტივის წევრმა მედეა ნიპარიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვებსა და მასწავლებლებს აქტიურობისა და ორგანიზებულობისათვის.

შეხვედრა დასრულდა მუსიკალური ნომრით, ცნობილ შედევრს "განთიადი" ასრულებდა სახელგანთქმული ნანი ბრეგვაძე.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

## დებიუტანტი

# დიდგორი – 4

ქორეოგრაფიული ფესტივალი, რომელიც დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ანშლაგით ჩატარდა მცხეთაში. კულტურის ცენტრის დარბაზი /"სვეტი"/ მაყურებელს ვერ იტევდა... ფესტივალი გაიმართა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, რომლის ინიციატორი გახლდათ ზაზა მჟავანაძე. კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული ქორეოგრაფიული ანსამბლები, კერძოდ, აქ იყვნენ დედაქალაქიდან, აგრეთვე, ქუთაისიდან და ბათუმიდან, წყალტუბოდან, თეთრიწყაროდან მოწვეული მოცეკვავეები და შემსრულებლები.

საგულისხმო გახლავთ ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ფესტივალზე წარმატებული გამოსვლა ჰქონდა კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო-სანიმუშო ცეკვის აკადემია "დიდგორს" /სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, ქორეოგრაფები მარინა რუსიშვილი და დარინე პაპაშვილი/, რომელიც სამი ცეკვით /"რაჭა ჩემი სიყვარულია", "აჭარული მოტივები" და "აფხაზთა როკვა"/ წარდგა მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.



– მოხიბლული ვარ, ამაღლებული განწყობა დამეუფლა, როდესაც დიდგორელების გამოსვლას ვუყურებდი სცენაზე, – საუბრობს კასპის კულტურის ცენტრის მენეჯერი თათია თათრიშვილი, – სხვათა შორის, როგორც მითხრეს, სწორედ ამ ფესტივალზე შედგა "დიდგორი – 4"-ის დებიუტი, ისინი ისეთი პატარები არიან, ერთხანს ვიფიქრე, ამხელა სცენას ვერ "გაუმკლავდებიან" მეთქი, მაგრამ არა, ციცქნა გოგო-ბიჭებმა ყველაფერი წესისამებრ შეასრულეს და თქვენ წარმოიდგინეთ, შინაგანი ემოციით, ჟესტიკულაციით მოახერხეს ცეკვის /"რაჭა ჩემი სიყვარულია"/ შინაარსის გადმოცემა. დარბაზში არ წყდებოდა მაყურებლის ემოციები და სიხარული, აპლოდისმენტები.

კონცერტი დაასრულეს დიდგორელებმა ცეცხლოვანი ცეკვით "აფხაზთა როკვა", რომლის ფონზე ფესტივალის ორგანიზატორებმა დაიწყეს მონაწილე ანსამბლების დაჯილდოების ცერემონიალი.

ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ანსამბლ "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელს ქეთევან მონასელიძეს და მთავარ ქორეოგრაფს მარინა რუსიშვილს გადასცა სერტიფიკატი – ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და მიენიჭათ ღვაწლმოსილი ქორეოგრაფის საპატიო წოდება.

ქორეოგრაფი დარინე პაპაშვილი დაჯილდოვდა მადლიერების სიგელით, ქართული საცეკვაო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

ცეკვის აკადემია "დიდგორს" გადაეცა ოქროს მედალი და მადლიერების სიგელი, ხოლო თითოეული მოცეკვავე დაჯილდოვდა სახელობითი დიპლომით.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ცეკვის აკადემია "დიდგორი" მიმდინარე წლის ივნის-ივლისში მიწვეულია საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც გაიმართება ბულგარეთსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში...

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

# ჩემპიონები, რეკორდსმენები და კიდევ ...

წლევანდელ მესამე სასპორტო გამოშვებაში (გვერდში) მოთხრობილია ჩვენი სპორტსმენების საშინაო და საგარეო მიღწევებზე,რაც მოიპოვეს თებერვალ-მარტის დღეებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

* კარატე: 17 თებერვალი, ქ. დუშეთი, 300 არაგველის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი — კლუპიონატი (19-წლამდელები) — დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ფიტნესკლუბის ძალოსნური კლუბი "ამირანის" წევრები: ლუკა მერებაშვილი, ლუკა ორბელაშვილი და გიორგი კრუპნოვი — მათ პირველობა არავის დაუთმეს. გვყავს მე-2 ადგილის მფლობელიც — სოსო ბერიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ორივე ლუკამ ოლოოდ, პრიზიორებში ვერ მოხვდა... ყმაწვილის პირადი მწვრთნელია მამა — მამუკა ზაქარაშვილი. აქ მცირე პარალელის გავლება შეიძლება: თავის დროზე მასაც მამა ავარჯიშებდა. ეგაა, ახლა მამუკა დიდ საჭადრაკო გზაზე ორ ვაჟიშვილს მეურვეობს!

* ქართული ჭიდაობა: 27 თებერვალი, ქ. მცხეთა, საქართველოს



ბი "ხვადის" სახელი წარმატებით წარმოაჩინეს: ჩემპიონებმა: ვახტანგ წიკლაურმა და დავით ჯანჯულიამ; მე-2 პრიზიორებმა — ცოტნე პატარქალაშვილმა, საბა მარქარაშვილმა და გივი ფსუტურმა; ასევე, მე-3 პრიზიორებმა — ზურაბ გაბრიელაშვილმა და ქეთი წიკლაურმა (მწვრთნელი დავით დალაქიშვილი).

კლუბი "კასპის" წარმომადგენელთა წილად მოდის 3 მე-3 საპრიზო ადგილი. აი, ისინიც: მარიამ მანძულაშვილი, საბა ღვალაძე და ლანა დავითაშვილი (მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი).

* ჭიდაობა ძიუდო: 23 თებერვალი, ქ. თბილისი, საქართველოს პირველობა (2004-05-წლიანები) — დედაქალაქის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ჩვენგან 6 მოჭიდავემ იასპარეზა. მათგან საუკეთესო იყო სოსო ჟივიძე, რომელიც ვიცე ჩემპიონი გახდა (მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი).

* ძალოსნობა (წოლჭიმი): 24 თებერვალი, ქ. თბილისი, საქართველოს ჩემარა მარტო პირადი რეკორდები დაამყარეს, არამედ, მეტადრე ის, რომ შეყვანილი არიან საქართველოს წოლჭიმელთა 19-წლამდელთა ნაკრებში. ისინი ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან, რომელიც აგვისტოში გაიმართება ლუქსემბურგში (მათი მწვრთნელია გია მერებაშვილი).

* ჭადრაკი: 26 თებერვალი, ქ. გორი, რეგიონული პირველობა მოსწავლეთა შორის — საჭადრაკო ჯგუფის ყველაზე ნორჩმა წევრმა, 6 წლის ანდრია ზაქარაშვილმა, მე-3 ადგილი დაიკავა და ამით საქართველოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა ... 8-წლამდელებში გამოსასვლელად (მისთვის "დაბალ" ასაკში შეჯიბრებები არ ტარდება). ბარემ აქვე გეტყვით, რომ ყოჩაღი ბიჭუნა თბილისში გამართულ შეჯიბრებაშიც (2-8 მარტი) ახლოს იყო სასახელო წარმატებასთან, ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა მე-2 ადგილის დაკავების თეორიულ შანსს, მაგრამ გადამწყვეტი პარტია ველარ მოიგო და, საბ-

პირველობა ჭაბუკთა შორის — მე-3 საპრიზო ადგილებით დაკ-



მაყოფილდნენ ჩვენი ჭაბუკები: კახა ხინიზოვი, სოლომონ მერებაშვილი და სანდრო ახლოური.

* ჭიდაობა სამბო: 2-3 მარტი, ქ. თბილისი, საქართველოს პირველობა (ჭაბუკები და ახალგაზრდები) — მოპოვებულია 5 საპრიზო ადგილი, თანაც, ყველა ერთი "სინჯისა", მესამეადგილოსნები გახდნენ: ლევან მამულაშვილი, გიორგი ხუციშვილი, ლუკა შეშაბერიძე, დავით ნატროშვილი და გიორგი ხინიზოვი.

*ჭიდაობა ძიუდო: 2-3 მარტი, ქ. ანტალია (თურქეთი), ევროპის თასის გათაბარნოვმა, რომელიც სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა (დაბადებულია 2004 წლის 25 სექტემბერს). კასპის სასპორტო-საბრძოლო კლუბ "იმედში" მას ავარჯიშებს ოთარ თოიძე.

* კალათბურთი: 7 მარტი, ქ. თბილისი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გათამაშება "ბ" ლიგაში (16-წლამდელები) — პირველი ტურის მატჩში "კასპის" ჭაბუკებმა (მწვრთნელი დავით ჯინიყაშვილი) ანგარიშით 76 : 27 დაამარცხეს თბილისის "შევარდენის" გუნდი.

მაშება — საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების სახელით იასპარეზა კასპელმა 3 მოჭიდავემ — ვალერი მღებრიშვილმა, ბაქარ ერაშვილმა და ირაკლი დემეტრაშვილმა.

გამარჯვებულთაგან 39 ქულით საუკეთესო მექულე გახდა ტატო თაბუაშვილი... 12 მარტი, მეორე ტური: ქ. თბილისის "ზაზა - 3" — "კასპი" — ლეხურისპირელი ბიჭები



საუკეთესო იყო ეს უკანასკნელი, რომელიც მე-3 ადგილზე გავიდა (მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი).

* კიკბოქსინგი: 3 მარტი, ქ. ვარშავა (პოლონეთი), ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები) — პრესტიჟულ შეჯიბრებაში უდიდესი წარმატებით გამოვიდა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 14 წლის ლუკა

ამჯერად თვითონ დამარცხდნენ სოლიდური სხვაობით საქართველოში საუკეთესო და უძლიერესი საკალათბურთო აკადემიის თანატოლებთან... 20 მარტს, მესამე ტურის მატჩიც წაგებულია ქ. თბილისის "ოვერტაიმთან".

* კალათბურთი: (3 X 3-ზე): 9 მარტი, ქ. კასპი, შიდა ქართლის რეგიონული ეტაპის გათამაშებაში




ელობის თასზე — ტურნირზე პირველად წარსდგა ჩვენი რაიონის წარმომადგენელი კლუბი "ლამისყანა" (შეჯიბრებას მე-2 წრეში დამარცხებით გამოეთიშა).

* მაგიდის ჩოგბურთი: 9-10 მარტი, ქ. თბილისი, საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის — ესოდენი დონის შეჯიბრებაში, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა კასპელ მოსწავლეთა გუნდი. ეს არის დამსახურება წარმატებული სპორტსმენისა და ახალბედა მწვრთნელის, ლანა მელაძისა, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც ბავშვებს ავარჯიშებს. აი, მას ვისი ეიმედება: ბექა სოზიაშვილი, ნინო ელიოზიშვილი, გიორგი პაპიაშვილი (სამივე სოფელ ახალციხიდან), ლუკა და თორნიკე აბულაძეები, თათია მარქარაშვილი, მარი მურღული და ჯორჯი ჯანვერდაშვილი (კასპიდან).

* კალათბურთი: 15 მარტი, ქ. კასპი, საერთაშორისო მეგობრული შეხვედრა ჭაბუკთა გუნდებს შორის — "კასპმა" უმასპინძლა საქართველოში (ქ. გორში) სტუმრად

* 17 მარტი, ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი "ბ" ლიგაში (14-წლამდელები) — მიხეილ მაკეივიჩის ბიჭებმა სადებიუტო თამაშში დაამარცხეს ქ. თბილისის "საბურთალო — 2"-ის გუნდი.

* ჭიდაობა ძიუდო: 15-16 მარტი, ქ. სენაკი, იგორ ნარმანიას ხსოვნის ტურნირი (გოგონები) — შიდა ქართლის ნაკრების შემადგენლობაში ურიგოდ არ გამოვიდა ჩვენებური 14 წლის ეკა რაზმაძე. მან მე-2 ადგილი დაიკავა, აპრილის ბოლოს ეკა ევროპის ჩემპიონატში იჭიდავებს რუმინეთში.

* ჭადრაკი: 16 მარტი, ქ. გორი, რეგიონული პირველობა მოსწავლეთა შორის — 14-წლამდელ მოჭადრაკეებთან პაექრობაში მე-2 ადგილი დაიკავა გიორგი კელაპტრიშვილმა (სოფელ ზემო ხანდაკიდან). ვულოცავთ ყმაწვილსაც და მის პირად მწვრთნელსაც, ზაზა გორგაძეს!

* ქართული ჭიდაობა: 20 მარტი, ქ. ხაშური, რეგიონული პირველობა ჭაბუკთა შორის (2002-03-04 წლებში დაბადებულები) — შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის უფლე-



გაიმარჯვა სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონათა გუნდმა (მწვრთნელი ტარიელ ამირეზაშვილი).

* ჭიდაობა ძიუდო: 9 მარტი, ქ. ყვარელი, საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ავთანდილ ჭრიკაშვილის სახმყოფ ქ. განჯის (აზერბაიჯანი) ოლიმპიური მზადების ცენტრის ნაკრებს (ჩვენდა დასანანად და გასაკვირად აზერბაიჯანელმა ყმაწვილკაცებმა ყველა თამაში მოიგეს გორში, ხაშურში, თბილისში, ცხადია, კასპშიც).

ბა მოიპოვეს პირველადგილოსნებმა: ლევან მამულაშვილმა, ნუგზარ გელხაურმა და გიორგი ხინიზოვმა; ასევე, პრიზიორებმა — ნუგზარ კაფიგრანოვმა და ალბერტ გორგაძემ (მწვრთნელი იოსებ მამულაშვილი).

კასპის სპორტკომპლექსი.

## „ფიქრები სამყაროს მშვენიერ ნაწილზე“

# მცირე ისტორია და დიდი პერსპექტივა

“მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა – უფლება ძლიერისა“

ხშირად, მამაკაცები, რომელთაც სურთ, რომ თავიანთი სქესის აღმატებულობა წარმოაჩინონ, მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის მოკლე მიმოხილვას მიმართავენ. დიახ, ეს ყველაზე ბანალური და მარტივი ხერხია იმის ხაზგასასმელად, რომ მეცნიერი თუ ხელოვანი მამაკაცების რიცხვი ათასჯერ აჭარბებს ამავე სფეროებში მოღვაწე ქალების რაოდენობას. ეს რკინის არგუმენტია და მას მეორენაირად “ჩვენ უფრო ჭკვიანები და ნიჭიერები ვართ“ ჰქვია. რაც მთავარია, მამაკაცები, რომლებიც ამ არგუმენტით “მოგსვამენ შენს ადგილზე“ ამტკიცებენ, რომ მათ არც ძველმოდური ცრურწმენები აქვთ და არც სექსისტები არიან, პირიქით, სტატისტიკური მონაცემების მოშველიება ასეთ მომენტებში მათ “წინწასულობაზე“ მეტყველებს, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს აქცევენ ყურადღებას. ერთი წამით, შესაძლოა, ნებისმიერ მსმენელს მოეჩვენოს, რომ მათი ბაგეები ჭეშმარიტებას ღაღადებენ. თუმცა, ამ მამაკაცებს, ყველაფერს რომ სტატისტიკურ-ისტორიული ჭრილიდან უდგებიან, სინამდვილეში სწორედ ისტორიისა ნაკლებად გაეგებათ. იცოდე დიდი ომების ხანგრძლივობა და თარიღები, მეცნიერული აღმოჩენებისა და კულტურული წინსვლის პერიოდები და დათვლილი გქონდეს, თუ რამდენი ისტორიული პირი მონაწილეობდა ამ მოვლენებში, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წარსულის შესახებ საფუძვლიანი წარმოდგენა გაქვს. ჩვენს სახელმძღვანელოებში რატომღაც ძალიან მცირე ადგილი ეთმობა სხვადასხვა ეპოქის ადამიანების მსოფლმხედველობის, სოციალურ-კულტურული თავისებურებების განხილვას. არადა, ყველაზე საინტერესო ისტორიული მასალა სწორედ ის არის, თუ რა ხდებოდა, მაგალითად, მეთექვსმეტე საუკუნეში მცხოვრები გლეხის თავში, როგორ იყო “დალაგებული“ ამავე პერიოდის ფეოდალის აზრები და ა.შ.

ყოველი ისტორიული მოვლენის გასაღები ხომ ზუსტად იმდროინდელი ადამიანების მსოფლმხედველობაა – თუკი ამ “დაშვებას გავაკეთებთ“, მაშინ შეგვიძლია იმის მიზეზებიც ვეძიოთ, თუ რატომ აჭარბებს მამაკაცი მეცნიერების, ხელოვანებისა და საზოგადო მოღვაწეების რიცხვი ქალებისას. აქვე შეგვიძლია დავსვათ კითხვები: ვის ეკუთვნოდა ძალაუფლება ოჯახში, სახელმწიფოში, რელიგიასა და განათლების სისტემაში საუკუნეების განმავლობაში? იყო თუ არა ეს ძალაუფლება აგებული უხეშ ფიზიკურ ძალასა და ეგრეთ წოდებულ იდეოლოგიურ “ტვინის რეცხვაზე“?

1906 წელს მიხეილ ჯავახიშვილი გაზეთ “ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში “ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“ წერდა: “დედაკაცის მდგომარეობის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რომ დღემდის მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა იყო უფლება ძლიერისა. ძლიერის უფლება არც დღეს მოსპობილა და არც ამ ახლო მომავალში მოისპობა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძალის უფლებას და, იმედია, ერთ დროს სრულიად მოსპობს მას“.

ისტორიული ასპარეზი ნიჭიერების გამოსავლენად

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ქალი, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინ დაიბადა. თქვენ განათლება არ მოგცეს, რადგან, კაცები ამბობენ, ქალს განათლება არ სჭირდებაო. ერთ დღესაც თქვენ რაიმე მოვლენის მიმართ პროტესტი გაგიჩნდათ და იმდენად გაკადნიერდით, რომ საკუთარი აზრი მამაკაცების თანდასწრებით გამოხატეთ. უარეს შემთხვევაში მამისგან /ძმისგან/ქმრისგან “მოგხვდებოდათ“ და ცხოვრებაში მეორედ ველარ გაბედავდით ხმის ამოღებას. უკეთეს შემთხვევაში კი დამცინავად მიგითითებდნენ, რომ ეს ქალის საქმე არ არის.

თუ თქვენ გაბედავდით (რაც საეჭვოა) და დასვამდით კითხვას: “რატომ?“ და მიუხედავად ამ სითავხედისა ძლიერ მუშტს ასცდებოდით, ჩათვალეთ, რომ ძალიან ლმობიერი მამაკაცის გვერდით ყოფილხართ. ეს ლმობიერი მამაკაცი აუცილებლად აგიხსნიდათ, თუ რატომ არ არის ესა თუ ის საკითხი ქალის გასარჩევი და განსასჯელი – აქ იგი არგუმენტებად მოიყვანდა უამრავ სოციალურ სტერეოტიპს, ტრადიციას, რელიგიურ ციტატას, წესს, რომლის გადახვევაც არ შეიძლება; და თქვენ ბოლომით ალსავსე გულით დაუბრუნდებოდით იატაკის ხეხვას.

ჩვენ ვიცით, რომ ქალებისთვის განათლება ათასწლეულების მანძილზე არ იყო ხელმისაწვდომი. მხოლოდ ყველაზე არისტოკრატ და განებივრებულ ქალბატონებს ჰქონდათ ამის ფუფუნება და მათი რიცხვი უზარმაზარ ქვეყნებშიც კი ათეულებს არ აჭარბებდა. ჩავთვალოთ, რომ ტვინიც კუნთია და ქალებს მისი გა

გაგრძელება გვ10.

# ვარ თუ არა დაცული წითელასგან?



**როგორც ცნობილია, წითელა მწვავე ვირუსული დაავადებაა, გადაეცემა ჰაეროვანი გზით ან ინფიცირებული ადამიანის ცხვირ-ხახის სეკრეტთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტით და გამოირჩევა მაღალი გადამდებლობით. კლინიკურად წითელა ხასიათდება ცხელებით, გამონაყრით, ასევე ხველებით, რინიტით ან კონიუნქტივიტით და სერიოზულ გართულებებს იწვევს..**

**წითელა ბავშვთა დაავადებად ითვლება, მაგრამ შეიძლება დაემართოს ნებისმიერი ასაკის ადამიანს თუ მას აცრის შემდგომი ან ადრე გადატანილი წითელას ინფექციით განპირობებული იმუნიტეტი არ აქვს.**

**საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნანა ნონიაშვილი.**

რამდენად საშიში დაავადებაა წითელა?

წითელას შემთხვევათა 30%-ში ადგილი აქვს დაავადების ისეთ გართულებებს, როგორიცაა ოტიტი, პნევმონია, დიარეა და პოსტინფექციური ენცეფალიტი. განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილით მთავრდება წითელას 1000 შემთხვევიდან 1, განვითარებად ქვეყნებში კი ბევრად მეტი – 3%-6%. წითელას იშვიათი, მაგრამ ძალიან სერიოზული შორეული გართულებაა ქვემწვავე მასკლეროზირებელი პანენცეფალიტი, რომელიც შესაძლებელია განვითარდეს დაავადების გადატანიდან რამდენიმე წლის შემდეგ და ფატალურად დამთავრდეს.

როგორ მოვიქცე თუ მქონდა კონტაქტი წითელათი დაავადებულ პირთან?

თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ გაქვთ წითელას მიმართ იმუნიტეტი, აუცილებლად გადაამოწმეთ თქვენი სამედიცინო ისტორია (აცრების ბარათი).

თუ არ გაქვთ დოკუმენტი ჩატარებული აცრების შესახებ, ჩაიტარეთ აცრა.

წითელას დამატებითი დოზის მიღება უსაფრთხოა.

როგორ გავიგო ვარ თუ არა წითელათი ავად?

წითელას ტიპიური შემთხვევა იწყება მწვავედ – ტემპერატურის მომატებით, რომელსაც თან ახლავს ხველა, რინიტი, კონიუნქტივიტი. სიმპტომების დაწყებიდან დაახლოებით 2-3 დღის შემდეგ პირის ღრუში შეიძლება გაჩნდეს წვრილი, თეთრი გამონაყარი (ფილატოვ-კოპლიკის ლაქები), 5-6 დღის შემდეგ კი ავადმყოფის სხეულზე ჩნდება ვარდისფერი გამონაყარი. თავდაპირველად გამონაყარი ჩნდება სახეზე (შუბლზე), რომელიც შემდეგ ვრცელდება მთელ სხეულზე, ზემოდან ქვევით (კისერი, ტანი, ხელები, ფეხები, ტერფები). რამდენიმე დღეში ტემპერატურა იწევს ქვემოთ, იწყება გამონაყრის პიგმენტაცია, რომელიც თანთადან ქრება.

გამომდინარე იქიდან, რომ წითელამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები – ენცეფალიტი, პნევმონია, დიარეა, ოტიტი და სხვა, პაციენტმა კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რათა ექიმმა მოახდინოს დროული და ზუსტი კლინიკური დიაგნოსტირება და შესაბამისი მკურნალობა, როგორც ამბულატორიულად, ისე ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ცხელებით და გამონაყრით მიმდინარე სხვადასხვა დაავადების ზუსტი დიაგნოსტირებისათვის აუცილებელია წითელას კლინიკური დიაგნოზის დადასტურება ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე.

როგორ დავიცვათ თავი წითელათი დაავადებისაგან?

ვაქცინაცია წითელას პრევენციის (თავიდან აცილების) ერთადერთი ეფექტური საშუალებაა. წითელა მიეკუთვნება ვაქცინით მართვად დაავადებათა რიცხვს. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით, წითელას საწინააღმდეგო აცრები ტარდება 1 წლის და 5 წლის ასაკში, ან არაგეგმიურად, ნებისმიერ სხვა დროს. გადაამოწმეთ თქვენი ვაქცინაციის სტატუსი, თუ არ ხართ დარწმუნებული, ან არ ხართ აცრილი წითელას საწინააღმდეგო ვაქცინით, მიმართეთ თქვენი ოჯახის ექიმს და ჩაიტარეთ აცრა წითელა-წითურა-ყბაყურას (წწყ) საწინააღმდეგო ვაქცინით.

ვარ თუ არა დაცული წითელასაგან?

წითელათი დაავადების საშიშროებისგან დაცული ხართ, თუ:

* აცრილი ხართ წწყ ვაქცინის 2 დოზით – პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით 1 წლის და 5 წლის ასაკებში;

* თუ აცრილი ხართ წწყ ვაქცინის მხოლოდ ერთი დოზით და იმყოფებით სკოლამდელ ასაკში;

* თუ გადატანილი გაქვთ წითელა, რომელიც დადასტურდა ლაბორატორიულად;

* თუ ლაბორატორიულად დადასტურებულია, რომ გაქვთ შესაბამისი იმუნიტეტი.

დაავადების გადატანა ან სრულყოფილი (ორჯერადი) ვაქცინაცია ტოვებს მყარ იმუნიტეტს!

ვინ უნდა აიცრას წითელას საწინააღმეგო ვაქცინით?

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი ითვალისწინებს წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ორჯერად აცრებს 1 და 5 წლის ასაკებში.

ნებისმიერმა აუცრელმა და/ან არასრულად აცრილმა პირმა აუცილებლად უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და ჩაიტაროს ვაქცინაცია!

რამდენად უსაფრთხოა წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია?

წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა უსაფრთხოა.

დღეისათვის ვაქცინა გამოიყენება მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში. მრავალწლიანი კვლევებითა და გამოცდილებით დადასტურდა ვაქცინის უსაფრთხოება და მაღალი ეფექტურობა. საქართველოში სახელმწიფოს მიერ ხდება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული მაღალი ხარისხის ვაქცინების შეძენა.

რა ღირს ვაქცინაცია?

საქართველოში როგორც გეგმიურ (ბავშვთა ასაკის) ისე ნებისმიერი ასაკის მოქალაქეთა უფასო ვაქცინაციას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

# უპირველესი საზრუნავი

სკოლამდელი განათლება არ უნდა იყოს განხილული, როგორც მხოლოდ სკოლისთვის მოსამზადებელი პერიოდი...

სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელშიც იმყოფება ბავშვი უნდა იყოს უსაფრთხო, მშვიდი, ამავე დროს, კომფორტული და პოზიტიური, ერთი სიტყვით, ჯანსაღი გარემო უნდა იძლეოდეს გართობის, აღმოჩენებისა და არჩევანის საშუალებას. ამიტომაც არის, რომ დღევანდელი მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვებზე ზრუნვა, საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა და არსებულის სრული აღდგენა-რეაბილიტაცია.

— კასპის მუნიციპალიტეტმა ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე წლის წინ დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, — საუბრობს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — ქალაქში არსებულ ხუთივე საბავშვო ბაღში აღსაზრდელებს განახლებულ, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ პირობებში უწევთ ყოფნა.

სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში, მათ შორის, კავთისხევში, ეზატში, ქვემო გომში, ხოვლეში, კიდევ ბევრ დაწესებულებაში.

შენობების აღდგენის გარდა, ყველგან მოეწყო და მოპირკეთდა ეზოები, სხვათა შორის, ეზოს გარკვეული ფართობი კი, დაეთმო გამწვანებას, საიმედოდ შეილობა კიდეც და ახლა უკვე დაცულია იქაურობა. ჯგუფებისათვის შეძენილია ავეჯი, საწოლები თავის ლეიბებით, კვების ობიექტები აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით /გაზქურა, მაცივარი, ხორცის საკეპი მანქანა/ და ბუნებრივია, ხმარებიდან ამოღებულია ძველი ალუმინის ქვაბებიც.

მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან დროებით შეწყდა სააღმზრდელო პროცესი დოესის საბავშვო ბაღში, რადგან აქ, აი, ახლაც ინტენსიურად მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია. ბაღი / გამგე სოფო როინიშვილი/ სამჯგუფიანია და გათვალისწინებულია 100 აღსაზრდელზე.

ორსართულიან, მოძველებულ შენობაში რემონტის დაწყებამდე ჯგუფები განლაგებული იყო მხოლოდ ზედა სართულზე, ხოლო განახლების შემდეგ, შესაძლებელი გახდება პირველ სართულზეც ჩატარდეს სააღმზრდელო პროცესი და რასაკვირველია, შეიქმნება იმის გარანტია, რომ ბაღს კიდევ დაემატოს ჯგუფები. სააღმზრდელო და საძინებელი ჯგუფების გარდა, განახლების შემდეგ ბაღს ექნება კეთილმოწყობილი და გალამაზებული მუსიკის დარბაზი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამზარეულო, სამრეცხაო-სანიტარული კვანძი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ცხელი წყალმომარაგებით და რასაკვირველია, ბაღს ექნება ცენტრალური გათბობა.

მოკლედ, როგორც ყველა სკოლამდელი დაწესებულება დოესის საბავშვო ბაღიც იქნება ყველა აღსაზრდელისათვის ხელმისაწვდომი და ამავე დროს გარანტირებული, რომ აქ ბავშვმა მიიღოს შესაფერისი აღზრდა და განვითარება. ამისათვის კი, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბაღში დანერგილ ხარისხიან სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას, რომლის განხორციელებისათვის აქედანვე ზრუნავენ ბაღის მასწავლებლები და აღმზრდელები, მთელი მომსახურე პერსონალი.

მანამდე კი, შეუფერხებლად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, კერძოდ, შენობის გარე ფასადი /ნახევარი/ უკვე გაილესა ქვიშით, აიყარა ძველისძველი იატაკი, საგულდაგულოდ მიმდინარეობს მისი დამუშავება, რათა მასზე მოხდეს ლამინატის დაგება, პირველ სართულზე უკვე დასრულდა ახალი ფანჯრების ჩასმა, იქსოვება არმატურა და ისხმება ბეტონი...





ბაღის აღდგენა-რეაბილიტაციას სამი თვე დასჭირდება, როგორც მშენებლები ვარაუდობენ მაისის ბოლოს ყველაფერი მოგვარებული უნდა იყოს და ამდენად, დოესელი პატარები ამ ზაფხულს გალამაზებულ და კეთილმოწყობილ ბაღში დაბრუნდებიან.

**კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**

# სასკოლო სპორტული ოლიმპიადა



ცოტა ხნის წინ დაიწყო სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები.

ჩატარდა ორი სახეობა მხიარული სტარტები, 6-7 მარტს ქალაქ გორში გამართულ სპორტულ ღონისძიებაში ჩვენი რაიონიდან მონაწილეობდა მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული კავთისხევის საჯარო სკოლის /დირექტორი ნელი ჯანანაშვილი, სპორტის მასწავლებელი ოთარ ნონიკაშვილი/ გუნდი, რომელმაც დაიკავა მეორე ადგილი.

9 მარტს ჩატარდა კალათბურთი 3:3-ზე / გოგონები და ვაჟები/. ქ. კასპი, გოგონებიდან ასპარეზობის უფლება მოიპოვა ახალქალაქის საჯარო სკოლამ /დირექტორი ნანა სურამელი, სპორტის მასწავლებელი ტარიელ ამირეზაშვილი/, რომელმაც წარმატებით იასპარეზა და დაიკავა პირველი ადგილი...

ვაჟებს შორის გამართულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ კასპის მეორე საჯარო სკოლის /დირექტორი ოლია მახარაძე, სპორტის მასწავლებელი მიხეილ მაკეივიჩი/ კალათბურთელები, რომლებმაც მესამე ადგილი დაიკავეს.

# "მშვიდობის თასი" წელსაც რეზონანსული აღმოჩნდა ...



თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით ახლახან დედაქალაქში ჩატარებული ტრადიციული ტურნირი სახელწოდებით — "მშვიდობის თასი" წელსაც რეზონანსული აღმოჩნდა. აღნიშნულ საფეხბურთო ჩემპიონატში სულ 16 გუნდი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყვნენ კასპელი ფეხბურთელებიც...

კასპის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ორ ასაკობრივ ჯგუფში. 2006 წელს დაბადებულთა შორის მოასპარეზე შეგირდებმა /მწვრთნელი ზაზა ჯალალი/ მესამე ადგილი დაიკავეს, უმცროს სპორტსმენებს არც 2008 წელს დაბადებული ახალბედები /მწვრთნელი მალხაზ ჯალალი/ ჩამორჩნენ და მათაც მესამე საპრიზო ადგილი გაინაღდეს.

— ტურნირის მონაწილე კასპელი ფეხბურთელები ამ ასპარეზობისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ, — აცხადებს სპორტის დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენელი ტარიელ ბეგლარაშვილი, — პატარა სპორტსმენები ყოველ დღე ვარჯიშობდნენ / ლტოლვილთა დასახლების სტადიონზე, რადგან ამჟამად კასპის საფეხბურთო სტადიონზე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები/ და მაქსიმალური ყურადღება ექცეოდა ბავშვების ფიზიკურ მომზადებას და მობილიზებას.

ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელების ტრანსპორტირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხები მთლიანად მოაგვარა სპორტის გაერთიანებამ, ცნობილი გახდა ისიც, რომ ახლა ბავშვები ინტენსიურად ემზადებიან რაიონის პირველობისათვის, რომელიც მარტის ბოლოს უნდა გაიმართოს.

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

# მცირე ისტორია და დიდი პერსპექტივა

**დასასრული. დასაწყისი იხ. გვ 8.**

ვარჯიშების უფლება არ ჰქონდათ, ისევე როგორც სხვა კუნთებისა. როცა ისტორიულ სტატისტიკას გადავხედავთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, სოციუმის ამა თუ იმ ნაწილს რა უფლებებზე მიუწვდებოდა ხელი და რა როლს თამაშობდა ის საზოგადოებაში. მხოლოდ მაშინ მივხვდებით, რომ მილიონობით ქალს მათემატიკური ნიჭის გამოყენება მხოლოდ შვილების რაოდენობის დათვლაში ჩაუკლავს.



მილიონობით ქალს ანალიტიკური აზროვნება ზამთრისათვის სურსათის გადანახვისა და შვილების დასჯა-არდასჯის საკითხებისთვის მოუხმარებია. და კიდევ, უამრავი ქალის გენიალური არტისტულობა მხოლოდ ძილისპირული ზღაპრების თუ სიმღერების შეთხზვაში, ხელსაქმეში, ანდა სუფრის კოხტად გაწყობაში გამოიხატებოდა. ამ ყველაფერს მამაკაცი დააკვირდებოდა და ხანდახან თავის დიაცს ეტყოდა კიდეც: ’’’ეს რა კარგი რამე გაგიკეთებია, გენაცვალეო“, ან, სულაც არაფერს ეტყოდა.

### ✦ განათლების ისტორია – რამდენიმე ეპიზოდი

ჩინეთში საუკუნეების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ქალი რაც უფრო გაუნათლებელია, მით უფრო მორალურია. ხოლო განათლებულ ქალს ყოფა-ქცევა ეცვლება და საკუთარ როლს კარგად ველარ ასრულებს. სწორედ ამიტომ, ქალთა განათლებას ამ ქვეყანაში ყურადღება არ ექცეოდა. ჩინეთში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გაიხსნა ქალთა სამედიცინო კოლეჯი. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი ამ სასწავლებლიდან პირველი კურსდამთავრებულები გამოვიდნენ.

ძველ რომში ქალების განათლება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ეს მხოლოდ მაღალი კლასის წარმომადგენელ მდედრებს ეხებოდათ. მაგალითად, რომის კონსულის ქალიშვილი კორნელია მეტელა უამრავ წყაროშია მოხსენიებული, როგორც უზომოდ განათლებული და ჭკვიანი ქალი. მას ხოტბას ასხამს თვით პლუტარქეც. კორნელია ლიტერატურის, გეომეტრიისა და მუსიკის დიდი მცოდნე იყო. ასევე, ქალაქ პომპეის კედლის მხატვრობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მასზე უამრავი ქალია გამოსახული ეტრატებით, კალმებითა და სხვადასხვა ხელნაწერებით ხელში. შეიძლება ითქვას, რომ ძველი რომის ეპოქის შემდეგ ევროპაში ქალთა განათლება გაუმჯობესების ნაცვლად სულ უფრო და უფრო დაკნინდა და უმნიშვნელო გახდა.



ყველაზე პარადოქსული ქალთა განათლების ისტორიაში მაინც მუსლიმური სამყაროს ფენომენია. იქ, სადაც ქალთა უფლებები ყველაზე უფრო მეტად ირღვევა, ფატიმა ალ-ფიჰრიმ 859 წელს დააარსა ალ-კარაუინის უნივერსიტეტი. მისი საქმე მოგვიანებით აიუბიდების დინასტიამ გააგრძელა.

დამასკოში უამრავი მეჩეთი და საგანმანათლებლო ცენტრი გაიხსნა და მათ მაღალი წარმოშობის ქალები აფინანსებდნენ იმ ფულით, რომელიც რელიგიური ან საქველმოქმედო მიზნებისთვის იყო გამოყოფილი.

მეთორმეტე საუკუნის მეცნიერის, იბნ აზაკირის ცნობით, მუსულმანი ქალებისთვის განათლება ხელმისაწვდომი იყო. მის წყაროებზე დაყრდნობით, ქალები სამეცნიერო ხარისხებს – იჯაზებსაც იღებდნენ და მეცნიერები და მასწავლებლები ხდებოდნენ. თავად იბნ აზაკირს თავის დროზე ოთხმოცი სხვადასხვა ოსტატი-ქალი ასწავლიდა.

ქალთა განათლების იდეა თავად მუჰამედის ცოლებისგან მოდის: აიშა და ჰადიჯა ძალიან ჭკვიანი და საქმიანი ქალბატონები იყვნენ. თუმცა, მუსულმანი ქალები ოფიციალურ გაკვეთილებს არ ესწრებოდნენ. ისინი ხშირად დადიოდნენ არაოფიციალურ ლექციებზე მეჩეთებში. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს განათლების მიღება ოფიციალურად არ ეკრძალებოდათ, უამრავი მამაკაცი მაინც ამ ფენომენით აღშფოთებული იყო. მუსლიმ ქალბატონებს მუშაობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ შეეძლოთ განათლების მიღება, რადგან იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმარი გარდაიცვლებოდა, შვილებისთვის ესწავლებინათ და ემუშავათ, რათა ოჯახი გადაერჩინათ.

შუა საუკუნეების ევროპაში ქალების განათლება თითქმის აღარ არსებობდა. რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, რომელთაც ამის პრივილეგია მიეცათ. თუმცა, ძველი რომისგან განსხვავებით, სადაც ქალები განათლებას იმისთვის იღებდნენ, რომ ორატორები ან მდივნები მაინც გამხდარიყვნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა მიეღოთ, შუა საუკუნეების ევროპაში საკითხი სულ სხვანაირად იდგა. რელიგიური ავტორიტეტები ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ქალთა განათლებას. გოგონებს უფლება ჰქონდათ რაიმე ესწავლათ საკუთარი დედებისგან, მაშინ როცა ბიჭები მასწავლებლებთან ან ეკლესიის მფარველობის ქვეშმყოფ სკოლებში დადიოდნენ.

ქალი ბავშვობის პერიოდიდან პირდაპირ ქორწინების პერიოდზე გადადიოდა და მას სულაც არ ჰქონდა დრო იმისთვის, რომ მნიშვნელოვან სფეროებში განათლება მიეღო. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა ქალთა მონასტრები, რომლებიც გოგონათა განათლების ერთადერთ კერას წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების ყველაზე განათლებული ქალები მონაზვნები იყვნენ. მონასტერში მიღებული განათლება მკაცრად რელიგიური იყო. აქ აქცენტი კეთდებოდა რელიგიურ ლიტერატურასა და ლათინურ ენაზე. რაც მთავარია, დიდგვაროვან ქალებს ამ “სკოლებში“ ხელსაქმეს, მატყლის ჩეჩას, საჭმლის მომზადებასა და დიასახლისობას ასწავლიდნენ, რაც პირდაპირი მინიშნება იყო იმაზე, რომ მიუხედავად განათლებისა, ქალს მთელი საკუთარი ცოდნა მხოლოდ ოჯახისთვის და ბავშვების მოვლისთვის უნდა მოეხმარებინა. სხვა ტიპის სკოლები ქალებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, ხოლო ძალიან მდიდარი არისტოკრატების ქალიშვილები განათლებას თავისსავე სასახლეებში გამოკეტილები იღებდნენ. მათ დაქირავებული ოსტატები ასწავლიდნენ ოჯახის მოვლას, უცხო ენას, სიმღერას, კარგ მანერებსა და საუბარს. შუა საუკუნეების შემდეგ ევროპაში ქალთა განათლების მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა ეს პრივილეგია საშუალო და დაბალი ფენის ქალებს კიდევ კარგა ხანს არ შეხებიათ.

უელსის პრინცესა კეტრინ არაგონელმა (XVI ს.), რომელიც წარმოშობით ესპანელი იყო, ქალთა განათლება ბრიტანეთის მაღალ წრეებში მოდური და პოპულარულიც კი გახადა. ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, ქალები ძირითადად განათლებას ლიტერატურასა და რელიგიურ სფეროში იღებდნენ.

მეთხუთმეტე საუკუნეში იტალიელმა ისტორიკოსმა და ჰუმანისტმა ლეონარდო ბრუნიმ ქალთა განათლებას ეტრატები მიუძღვნა. მისი აზრით, არისტოკრატ ქალებს ლათინური ენა უნდა სცოდნოდათ, თუმცა, გეომეტრიის, არითმეტიკის, ასტროლოგიისა და რიტორიკის ცოდნა ქალბატონებისთვის არასასურველი იყო. განმანათლებლობის პერიოდში ქალთა განათლების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა და მერი უოლსტონკრაფთმა დაწერა წიგნი “ფიქრები ქალიშვილების განათლებაზე“.

მერი თავად იყო მასწავლებელი და მოგვიანებით სკოლის მფლობელიც. მეცხრამეტე საუკუნიდან კი ევროპაში ქალთა დაწყებითი განათლება თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა. თუმცა, უნივერსიტეტების დიდ ნაწილში ქალებს ლექციებზე დასწრება ეკრძალებოდათ როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში. რაც შეეხება ინდოეთს, 1878 წელს, კალკუტის უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც ქალებს სწავლისა და სამეცნიერო ხარისხის მიღების უფლება მისცეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან თითქმის მთელ მსოფლიოში ქალთა განათლება კონსტიტუციურად დაკანონდა და ერთადერთი რამ, რაც ცვლილებას მოითხოვდა, ვადაგასული გენდერული სოციალური ნორმები გახლდათ. გავიდა კიდევ ერთი საუკუნე და შთამბეჭდავია 2005/2006 წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, აშშ-ში ბაკალავრის ხარისხის მიმღებთა 58%, მაგისტრის ხარისხის მიმღებთა 60% და დოქტორის ხარისხის მიმღებთა 50% ქალია.

ასე რომ, იმედია, ოდესმე მართლაც დადგება მომენტი, როცა ქალ გენიოსთა რიცხვი კაცებისას გაუტოლდება და იქნებ გადააჭარბებს კიდეც.

ციუკა ყიფშიძე.

## გილოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული ხიზანიშვილი ქართული ჟურნალისტიკის დღეს ულოცავს გაზეთ ,,ახალი განთიადის,, რედაქციის თანამშრომლებს და უსურვებს წარმატებებს შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

## გამოგვიგზავნეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით ფართო მკითხველს გააცნოს საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო. 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო გახადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ღვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რას გსურთ...

გააცანით თანარაიონელებს თქვენი კურსდამთავრებული მეცნიერები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

გამოგვიგზავნეთ!

**კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოქმის საბავშვო ბაღის გამგე**

**მეგი ჩიტაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი საპაქის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76